განკარგულება:**გ-17. 1725024001**
თარიღი:**24/01/2025**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მეორე პუნქტის და „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 132-ე მუხლის თანახმად

1. ცნობად იქნეს მიღებული ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის - დავით ზაალიშვილის ანგარიში - 2024 წელს საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცხობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქუჩა #60ა)

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს მიერ
2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საკრებულო შეიკრიბა 12 ჯერ. ჩატარდა 12 გეგმიური. საკრებულოს ბიურო შეიკრიბა 13 ჯერ. საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის სხდომა გაიმართა 11 ჯერ, გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხთა კომისია შეიკრიბა 9 ჯერ, იურიდიულ საკითხთა კომისია შეიკრიბა 14 ჯერ, ჯამრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია შეიკრიბა 1 ჯერ, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია შეიკრიბა 9 ჯერ.

2024 წელს საკრებულოს სხდომაზე გატანილი და განხილული იქნა 105 საკითხი, მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები; გაფორმდა 25 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (დადგენილება), 65 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი (განკარგულება). საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები ქვეყნდება სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ–გვერდზე. თვითმმართველობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებზე და საქმიანობაზე სამართლებრივ ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. აღნიშნული ორგანოდან ამ დროისათვის მიღებულია 7 დასკვნა, შენიშვნები ნორმატიული აქტის მოქმედ კანონმდებლობასთან მიმართებაში სამართლებრივად გაუმართაობაზე გათვალისწინებულია კანონით დადგენილ ვადაში.

2024 წლის 22 ნომებრის სხდომაზე დამტკიცდა ქალაქ ბორჯომის გენერალური გეგმის კონცეფცია

წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის მიზანია, როგორც განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებითი და სივრცით-მოცულობითი მახასიათებლების განსაზღვრა, ასევე ტურიზმისა და ტრანსპორტის სექტორის განვითარება. დოკუმენტი მიზნად ისახავს ქალაქ ბორჯომის საკურორტო იდენტობის გაძლიერებას, რომელიც მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს: საკურორტო რესურსების ოპტიმიზაციას; იერსახის გაუმჯობესებას; დივერსიფიცირებული სამუშაო გარემოს ხელშეწყობას; საქალაქო ცხოვრების დონის ამაღლებასა და უსაფრთხოებისა და მედეგობის გაზრდას.

დოკუმენტის თანახმად, საკვლევი არეალი მოიცავს ქალაქ ბორჯომის და ახლომდებარე სოფლების დასახლებულ პუნქტებს და მიმდებარე ტყიან მასივებს.

1. ბორჯომის ტერიტორიის განვითარების პრიორიტეტებია:

ა) არსებული განაშენიანებული ტერიტორიების რაციონალური გამოყენება, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება.

ბ) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების, ჩამოყალიბებული ისტორიული ლანდშაფტის დაცვა და აღდგენა.

გ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში საჯაროობის, ჩართულობისა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფა;

დ) სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება და განვითარება;

ე) გარემოსა და რეკრეაციული ტერიტორიების დაცვა (ბიომრავალფეროვნებაზე, მიწაზე, წყალსა და ატმოსფერულ ჰაერზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება, კლიმატისა და ლანდშაფტის დაცვა, ემისიების შემცირებისა და განახლებადი ენერგიის განვითარების ხელშეწყობა და სხვა), სხვადასხვა დარგობრივი გარემოსდაცვითი გეგმით დადგენილი მოთხოვნების შესრულება;

ვ) გარემოზე ტრანსპორტის უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება;

ზ) დასახლებათა კულტურული, ისტორიული, არქიტექტურული, ურბანული მემკვიდრეობისა და ესთეტიკური ღირებულების მქონე გეგმარებითი ელემენტების (ქუჩების, მოედნების, შენობა- ნაგებობების, გამწვანებული ტერიტორიების) შენარჩუნება, მართვა და განვითარება;

კონცეფცია თანდართული დოკუმენტაციით გამოქვეყნებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.borjomi.org.ge.

2024 წელს საკრებულოს მიერ მოხდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი სოფლების დამისამართება კერძოდ უსახელო ქუჩებზე სახელწოდების მინიჭება.

2024 წლის იანვრიდან აქტიურად დაიწყო საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭო“-მ მუშაობა, დაიგეგმა არა ერთი ღონისძიება. სადაც ჩართული იყვნენ როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეები, სტუდენტები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები და შშმ პირები.

2024 წლის 15 ნოემბრიდან საკრებულოში აქტიურად დაიწყო 2025 წლის ბიუჯეტის საჯარო განხილვა, შესაბამისად ბიუჯეტის პროექტი განთავსდა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე და გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთ „ბორჯომში“, ასევე განთავსდა განცხადება, რომლის საფუძველზეც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო ჩართული ყოფილიყო მის განხილვაში და გაცნობოდა პროექტს ყველა სათანადო დანართით (პრიორიტეტების დოკუმენტი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები, ა(ა)იპ–ების დაფინანსებები და სხვა).

ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი გათვალისწინებული შესაბამისი ცვლილებებით გადმოიგზავნა საკრებულოში განხილვისა და დამტკიცების მიზნით, რომელიც საკრებულომ დაამტკიცა 2024 წლის 24 დეკემბრის სხდომაზე.

2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნა როგორც ადგილობრივ პრესაში ასევე სოციალურ ქსელში და მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე www.borjomi.org.ge, შესაბამისად ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩართული იყვნენ ყველა დაინტერესებული პირები.

საკრებულოს აპარატის მიერ შეგროვებული და შედგენილი იქნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ანგარიში საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გასაგზავნად და ასევე საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოსაქვეყნებლად.

2024 წელს საკრებულოში შემოსულია 349 ერთეული კორესპონდენცია, აქედან 280 ერთეული წერილი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, 69 განცხადება ფიზიკური პირებიდან. განცხადებების შინაარსიდან გამომდინარე 79 განცხადება შემოსულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხის მოჭრა/გადაბელვის თაობაზე, 12 განცხადება შემოსულია საჯარო რეესტრიდან სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, ასევე 8 განცხადება საკრებულოს საქმიანობის პროცესში წარმოშობილი დოკუმენტაციის და საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი